სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

144 აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 251 00 11 (12-11)
regagency@moh.gov.ge

11 აპრილი 2025

REG 1 25 00411437

შპს უნივერსიტეტი გეომედის რექტორის მოადგილეს ,

ბატონ ალექსანდრე ლოლაძეს

ელ. ფოსტა: aleksandre.loladze@geomedi.edu.ge

ბატონო ალექსანდრე,

სსიპ-სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შემოსული თქვენი წერილის (21.03.25, N 316599) პასუხად გაცნობებთ, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 4 აპრილის N5 სხდომის გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია მიენიჭა შპს უნივერსიტეტი გეომედის მიერ წარმოდგენილ მოკლევადიან უსგ პროგრამას „ნოზოკომიური ინფექციის როლი სეფსისის განვითარებაში და სეფსისის მკურნალობაში გამოყენებული ანტიბიოტიკების ტოქსიკურობა“ (აკრ. N 0988) და მიენიჭა I ტიპის 12 უპგ ქულა. პროგრამა განისაზღვრა სპეციალობებში: ზოგადი ქირურგია, ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია, შინაგანი მედიცინა, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, უროლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა სერტიფიცირებული ექიმებისთვის.

გაცნობებთ, რომ „უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმების და მათი აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების, ასევე, პროფესიული რეაბილიტაციის წესის, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის №01-3/ნ ბრძანების დანართი 1-ის, მე-6 მუხლის თანახმად, უპგ პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია, კონკრეტული პროგრამის ჩატარებამდე საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია მოწოდებულ ფორმატში (იხ. უსგ დამსწრეთა წინასწარი სია და შევსების ინსტრუქცია).

განმახორციელებელი ასევე ვალდებულია, საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია აქტივობებში მონაწილე პირების თაობაზე პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (იხ. უსგ დამსწრეთა საბოლოო სია და შევსების ინსტრუქცია).

აღნიშნული ინფორმაციის საბჭოს სამდივნოში არწარდგენის შემთხვევაში, აქტივობის ფარგლებში მინიჭებული უპგ კრედიტ-ქულები არ ჩაითვლება.

პატივისცემით,

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
პაპუნა ცაავა

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად